წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება

განკარგულება:**g-119. 119262302**

თარიღი:**18/08/2026**

2026 წლის 3 ოქტომბრის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედურ არჩევნებზე შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი“ 50-ე მუხლის მე-9 პუნქტისა და საქართველოს კანონის ,,ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ 61-ე მუხლის შესაბამისად, წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულომ ***გადაწყვიტა,***

1. დამტკიცდეს თანდართული დანართის შესაბამისად 2026 წლის 3 ოქტომბრის #25.09 ადგილობრივ მაჟორიტარულ საარჩევნო ოლქში შუალედურ არჩევნებზე შენობა-ნაგებობების ნუსხა, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალკის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე იმ შენობა-ნაგებობების ნუსხის დამტკიცების შესახებ, სადაც შესაძლებელია ჩატარდეს წინასაარჩევნო კამპანია (აგიტაცია)“ წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 31 ივლისის #g-119.11925212001 განკარგულება.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოში (ქ. თეთრიწყარო, კოსტავას ქ. №11) საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 22–ე მუხლის მესამე ნაწილით დადგენილი წესით, გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

ირაკლი გიგინეიშვილი

წალკის მუნიციპალიტეტის საკრებულო-საკრებულოს
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი